№ 265
უთშაბათი, 6 დეკემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

ვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12.	10	—	6	6	—
11.	9	50	5	5	50
10.	8	75	4	4	75
9.	8	—	3	3	50
8.	7	25	2	2	75
7.	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877-190

ივერია

№ 265
ხუთშაბათი, 6 დეკემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოვა 1902 წელს

(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

**გადიდებულ ადგილობრივ რუსულ გაზეთების ფორმატისა,
იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

თან-და-თანიაბითი ზრდა მკითხველთა მოთხოვნილებისა და ის გარე- ოება, რომ ეხლანდელი პატარა ფორმატი გაზეთისა ხშირად ნებას არ ვაძლევს საჭირო საგნებსა და საზოგადო საკითხებს ჯეროვანი დგილი დაეთმოს ხოლმე,—გვაიძულებს გავადიდოთ გაზეთი და გავ- ადოთ იმოდენა, რა ზომისაც ტფილისის რუსული გაზეთებია. ჩვენს აზეთს ამ რიგად მოემატება ნახევარი იმისა, რაც დღეს არის და მკით- ველს მისცემს ყოველ დღე 10 სვეტით მეტს საკითხავს მასალას.

რედაქცია ახალის წლიდგან განსაკუთრებულის ყურადღებით მოე- ყრობა ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ეცდება გაამდიდროს ალიტერატურო განყოფილება გაზეთისა და განსაკუთრებით ვრცლად ღნიშნოს ხოლმე ის მოვლენანი და დღენი, რომელთაც ჩვენში თუ შიდა რუსეთში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებათ.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისში:
„ივერიის“ რედაქცია,
ნიკოლოოზის ქ. № 21.
**„ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“
წიგნის მაღაზიიდგან,**
სასახლის ქ. ბანკის ქარვასლა,
ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში,
ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩა,
ალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ. **ტელეფონი № 227.**
საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

დღესასწაულებისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8-ს დეკემბერს.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, 1901 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქმნება:
ა. მ. პარგარელის საბენეფისოდ
ვლ. ალექსი-მესხიშვილის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით
ახალი პიესა

I

პატიოსნება

კომედია 4 მოქმედ. გ. ზუდერმანისა, თარ. ა. ახნაზაროვისა.

II

ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმედებ.

მონაწილეობენ: ქალბატონნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, კავთელი, ბატონნი: ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ჯანყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანოვი, სარჯველაძე და სხვ.
დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია
მზადდება **„პატარა კახი“ „პედაგოგები“ „უცნაური ხაფანგი“**
(3—უ.—3)
რეჟისორი ვ. გუნია

ქუთაისი
კბილის ექიმი
პ. გ. მახარაშვილი.
აკოფოვის ქუჩა, ბულვარის პირდაპ.
(3—248—2).

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყოლო-ჳოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ფელეტონი

—

სამი აღსარება*)

I

არტისტის.

დღეს რომ მეფე ვარ, ხვალ მწყემსი,
ხან გლახაკი ვარ, ხან გმირი...
რომ მეტირება, ვიცინი,
და მეცინება, რომ ვტირი.

—

როგორც ცხოვრება, ხელობაც
ეს ჩემი ცვალებადია:
რაცა ვარ, ნამდვილად არ ვარ
და რაც მაქვს, არ მაბადია.

—

სულ სხვა ვარ სცენას გარეშე...
მაგრამ ეს თქვენთვის ერთია.
ყველგან რომ თანსწორად ჰხედავს,
ის მხოლოდ ერთი ღმერთია.

—

როცა სცენაზე მორთული
გითვალისწინებთ მდიდარსა,
ვარდგენ მის მედიდურობას,
გიხატავთ სახლსა და კარსა,—

თქვენ რას მიხვდებით, რომ იმ დროს,
როცა დიდებით სრული ვარ,
ნამდვილად ჩემს ოჯახში-კი
ლუკმასაც მონატრული ვარ?!.

—

თქვენ რომ ტაშს მიკრავთ, მამხნევებთ,
იძახით „ვაშა ვაშა!“
მე ვფიქრობ: ვაი თუ ცოლმა
ლიაბიო არ მიხარშა?

—

და თქვენ წინ ლაღი, უკადრი,
მდიდარი, მეფე ძლიერი,—
შინ რომ მივდივარ, ჭილობზე
უნდა მივეგდო მშიერი.

—

და ძილში მაინც თუ ჩამყვა
ის, რაც ატყუებს სხვის თვალსა,
ნუგეშად ისიც კარგია...
მადლობას ვწირავ უფალსა.

—

მთელ წელიწადში ჩვენ ერთს დღეს
შევხარით როგორც აღდგომას,
რომ მაშინ მაინც ვეღირსოთ
ცოლშვილის ჯერზე გაძღომას.

—

ეს სანატრელი, ტკბილი დღე
სახელად „ბენეფისია“...
მაგრამ ვაი რომ ხან-და-ხან
სახრავი მაინც სხვისია!..

II

პოეტის.

რაც-კი არ არგებს ქვეყანას,
ის ყველა ფუჭი ბარგია,—
სულ ბულბულობაც არ ვარგა,
ზოგჯერ ყორნობაც კარგია.

—

გადავიქცევი ბულბულად,
თუ გაშლილს ვხედავ ყვავილსა,
მაგრამ თუ შემხვდა მძორ-ლეში,
ყორანს მივბაძავ ჩხავილსა.

—

ჭირში „ზარს“ ვიტყვი საცრემლოს
და ლხინში „მრავალ-ჟამიერს“,
გარჩევა უნდა ავ-კარგსა
და დრო—გულის—თქმას წამიერს.

—

მაქებარი ვარ ერთგულის
და მგმობი ქვეყნის მტერისა,
მათი პასუხის მიმცემი
საკადრის-შესაფერისა.

—

მოყვრისთვის თავ დადებული
ბულბული, ტკბილად მსტვენარი;
მტრის თვალში მხოლოდ გველი ვარ
და ძაღლი მკბენარ-მყეფარი.

—

ცოტას ვუყვარვარ, ბევრს ვძულვარ:
ეს კანონია ცხოვრების...
და მე კი გაურჩევლად
კარგის მდომი ვარ თვით მტრების.

III

ჩემი საკუთარი.

ლოცვა და ჩანგის ჟღერა
ორივ ტყუპის ცალია;
მათი შემქნელ-მშობელი
მხოლოდ ძალთა-ძალია.

—

და მათი აკვან-ტახტიც
გრძნობაა და გონება.
ორივეს წინა უძღვის
ზეგარდმო-შთაგონება.

—

არც ბრძანებას, არც თხოვნას
არ ემორჩილებიან...
ნათლის მფენნი წყვდიადში,
მნათობთ ეცილებიან.

—

მათი ხელის შეხება
უაღგილოდ ცოდვაა;
ლოცვა ყველგან უდროვოდ
ფარისევლის ბოდვაა.

—

აგრევე ჩანგის ჟღერაც
არ ვარგა წარა-მარა.
მგოსანს თუ ეს არ ესმის,
მესტვირეა მასხარა...

აკაკი.

---

*) ეს სამი ლექსი ჩვენმა პოეტმა წარმოსთქვა 29 წარსულს ნოემბერს ქართულს თეატრში არტისტის ვ. მ გამყრელიძის ბენეფისო წარმოდგენაზედ.

გამგეობა **გურიის** ამხანაგობისა

„შუამავალისა“

აცხადებს, რომ 16 დეკემბერს 1901 წ., დილის 10 საათზედ ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში დანიშნულია **საზოგადო წლიური კრება** ამა ამხანაგობის წევრთა;

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) მიღება წესდებისა, შედგენილი ნორმალურ წესდების თანახმად. 2) წარმომადგენლობითა კრების შეცვლა ჩვეულებრივ, ყოველ-წლიურ წევრთა კრებად. 3) განხილვა და დამტკიცება მმართველის მოხსენებისა 1898, 1899, 1900 და 1901 წ. წ. ანგარიშისა. 4) ხარჯთაღრიცხვა მომავალ 1902 წლისათვის. 5) გაუქმდეს თუ არა სახვევსაქსოვი ქარხანა. 6) მიღება იმ წევრებისა, რომლებიც გამორიცხულნი არიან წილის ფულის შეუმსებლობის გამო. 7) განიხილვა თხოვნებისა, შემოტანილის იმ პირთაგან, რომელთაც ბ. კ. თავართქილაძესთან წილის ფული შემოუტანიათ, რომლებისათვის წილის ბარათიც მიუციათ და არსად მოხსენებული არ არიან. 8) შეცვლა 18 თებერვლის 1900 წლის წარმომადგენელ წევრთ დადგენილებისა წლის ფულის გადიდების შესახებ. 9) მიღება წევრის იპლიკჩოლლისა, რომელიც იმავე კრებამ არ მიიღო. 10) ახალ წევრთა და იმ წევრთა მიღება რომელთაც წი-

წერილები ინგლისიდგან.

წერილი მე-39.

—

სანტოს-დიუმონი ლონდონში.—Miss ჰობგაუზის განდევნა კაპის ახალშენიდგან.—სახალხო დემონსტრაცია ბულლერის პატივსაცემად.

ხშირად მრთელსა და ძალ-ღონით სავსე სხეულში თვით უმნიშვნელო ჭრილობა მთელის ტანის სიცხეს გამოიწვევს ხოლმე, ხოლო, თუ ჭრილობა დაიარავდა, სისხლსაც-კი მოსწამლავს. ამ გვარ სხეულის საქმე ემართება ინგლისს შორეულ სამხრეთ-აფრიკის ომის გამო, რომელიც წინად დიდის სახელმწიფოს სხეულის ერთ დაშორებულ და უმნიშვნელო ნაწილის უმნიშვნელო ჭრილობად მიაჩნდათ. მაგრამ ჭრილობა დაიარავდა, სენი გაძნელდა. ამ სენმა უკვე შეჰყო თავი კაპის ახალშენში, სადაც გააუქმა პარლამენტი, მართლ-მსაჯულება და პრესის თავისუფლება. ომის დროის წეს-რიგი, სამხედრო სასამართლო, სამხედრო ცენზურა—აი მოქალაქეობა ამ კუთხისა.

მაგრამ სენი ვერც ამან შეაჩერა. დღეს გამოქვეყნებულ იქნა, რომ სამხრეთ-აფრიკაში სამხედრო მოხელეთა ნება-დართვით მხოლოდ იმათ შეუძლიანთ წასვლა, ვისაც განსაკუ-

ლი სხვისგან შეიძინეს. 11) გადიდება საბრუნავ თანხისა. 12) გადარიცხვა სათადარიგო და სხვა თანხებისა, ზარალის დასაფარავად. 13) გრენის ყიდვა. 14) არჩევა სამის წლით ერთის გამგე-დირექტორისა და გამგეობის ორის წევრისა. 15) არჩევა ზედამხედველის კომიტეტისა ანუ რჩევის წევრთა. 16) არჩევა ერთის წლით სარევიზიო კომისიის წევრთა.

ვისი ადრესიც არა აქვს გამგეობას, იმათ ცალკე მოწვევის ბარათი არ გაეგზავნებათ.

მმართველი ს. ქეიშვილი.

(5—6.—1)

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და სალამოთი 5—7 საათამდე. აქვს შესხვევი მასალა.

ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—3).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადიასტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ-აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра

Навасардіана.

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ავგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ი. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი.—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს:** კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა, № 12.

(20—უ—15)

ახალი ამბავი

⁂ ქართულ თეატრში დღეს, 6 დეკემბერს, ბენეფისია არტისტ-ქალის ა. გ. კარგარელისა. წარმოსადგენად დანიშნულია ზუდერმანის კომედია „პატიოსნება“ და ვოდევილი „ადვოკატთან.“ ამ წარმოდგენაში, აქაურ დასის გარდა, ვლ. ს. ალექსი მესხიშვილიც იღებს მონაწილეობას.

⁂ რაჭის მაზრის, ს. სხვავის მღვდელს გრიგოლ მეტრეველს ნებართვა აულია ქუთაისის გუბერნატორისაგან ხსენებულს სოფელში იაფ-ფასიან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებისთვის. იმედია საქმე მალე დამთავრდება, რადგან მოთავეს სოფლელები უწყობენ ხელს.

⁂ ს. ხარაგაულის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებთ გადუწყვეტიათ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გახსნა თავიანთს სოფელში და თხოვნა კიდეც მიუციათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებისათვის, რომელსაც შეუწყნარებია მათი თხოვნა და ახლა გუბერნატორისაგან უთხოვნია ნებართვა.

⁂ დიდი ხანია მოველით ქალაქის ბაზრებზე სანოვაგის ნიხრის დადგენას, რაც ქალაქის გამგეობის სავაჭრო პოლიციას გამოცხადებულიც ჰქონდა ადგილობრივ გაზეთებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ლოდინი ლოდინად გვრჩება.

⁂ დურგალთა ამხანაგობას „შრომას“ მიუმართავს სამეურნეო ბანკისათვის, რომ მიეცათ მისთვის სესხათ ასი თუმანი საიმედო თავდებობით. სამეურნეო ბანკს გადუწყვეტია, რომ რაც გაკეთებული ავეჯი გაქვთ, თუ ყველას გირაოთ მოგვცემთ და დაგვაბეჭდვინებთ, ასს თუმანს მაშინ მოგცემთო. ეს გადაწყვეტილება სამეურნეო ბანკის გამგეიბისა სრულებით არ შეეფერება ამ საქმის გარემოებას, რადგან, ფუ ავეჯი დაბეჭდილი იქნება როგორ უნდა გაყიდონ, და თუ ვერ გაყიდიან, ვალი რითი უნდა გაისტუმრონ? კარგი იქნება, რომ სხვა რაიმე საშუალება გამოსძებნოს სამეურნეო ბანკმა და დაეხმაროს ისეთს სიმპატიურს ამხანაგობას, როგორიც არის დურგალთა ამხანაგობა „შრომა“.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ „Тифл. Лист.“-ის გამომცემელს განუზრახავს მომავალ წლიდან თავის გაზეთი „С.-Петер. Вѣдомост.“-ის ფარმატისა გამოსცეს ხელმოსაწერ ფასის მოუმატებლად.

⁂ გუშინდელ (1661) ნომრიდან „ცნობის ფურცელი“ გამოდის ახალი (დროებითი) რედაქტორის (იგივე გამომცემელია) ალ. ჯაბადარის ხელის მოწერით.

⁂ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის უფროსს, ბ. შავროვს, განუზრახავს მომავალ წლის 1 იანვრიდგან მოსამსახურეთა შტატს მოუმატოს, რადგანაც ამ ბოლოს დროს აუარებელი აბრეშუმის თესლი (გრენა) მოაქვთ შესამოწმებლად.

⁂ 4 დეკემბერს, სხდომა ჰქონდა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელმაც განიხილა საკითხი, გააგრძელონ თუ არა მომავალ წელსაც სამეუნეო გამოფენის გამართვა. საბჭოს წლევანდელ გამოფენის გამართვის ზოგმა მონაწილემ უარი განაცხადა, რომ მათ დრო აღარ ექმნებათ, რაიმე დახმარება გაუწიონ გამოფენას. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ერთობ ცოტანი არიან მსურველნი მონაწილეობის მიღებისა იმ ამხანაგობაში, რომელსაც უნდა ითავოს გამოფენის გამართვა მომავალ წელში. საბჭო დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია მომავალ წელს გამოფენის გამართვა, რადგანაც ეს დიდს ხარჯს მოითხოვს და ხელთ კი ერთი მა

თრებული ბაშფორთები ექმნებათო. ამ ზომამდე თავისუფალს სახელმწიფოში სამხედრო მოხელეთ მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ მისვლა, როდესაც განსაცდელი დიდია, როდესაც მოხელენი სასოწარკვეთილებას ეძლევიან და გზა-კვალს ჰკარგავენ. გზა-კვალი-კი მართლაც დაჰკარგეს, როდესაც დაინახეს, რომ სენი—რევოლუცია თვით კაპის ახალშენს მიუდგო, ტრანსვაალსა და ორანჟეზედ რამდენისამე ასის მილის მანძილზედ მდებარე ადგილს. აფრიკაში მყოფ მოხელეთა სულის ვითარება, შეშფოთებული მდგომარეობა და სასოწარკვეთილება გადაედო აქ საზოგადოებას. ომმა ყოველივე შთანთქა, ყველაფერს თავისი კალთა გადააფარა, უმნიშვნელო გაჰხადა როგორც ერის სხვა ინტერესები, ისე ყოველ-დღიური ვარამი. საზოგადოების ყურადღებას სხვა აღარაფერი აღარ იქცევს. მეცნიერება, მხატვრობა, გამოგონებანი—ყველაფერმა ომს დაუთმო ბურთი და მოედანი.

თქვენ თითონ განსაჯეთ: რამდენად საყურადღებო და საინტერესო ახალგაზდა და გამბედავი სანტოს-დიუმონი თავისს ჰაეროსტატით, მაგრამ იმისი მოსვლა ლონდონში განა აინტერესებს ვისმეს? გაზეთებმა დაბეჭდეს შენიშვნები და ჰაერონავტთა კლუბმა სადილი გაუმართა,—აი ეს იყო და ეს სულ. განა სხვა დროს ასე დაჰხვდებოდნენ იმ ჭაბუკს, რომელმაც 30-ჯერ განსაცდელს მისცა თავი და რომელმაც თითქმის მიაგნო ჰაეროსტატით ჰაერში ფრენის საიდუმლოებას? სხვა დროს ინგლისელები სანტოს-დიუმონისაგან გმირს შეჰქმნიდნენ, ხელით ტარებას დაუწყებდნენ. ახლა?—დიუმონის თავი ვისა აქვს, როდესაც ერი გავლენასა ჰკარგავს პოლიტიკაში, როდესაც იმის სახელს ჩირქი ეცხობა და საუკუნოებით მოპოებული უფლებანი, პირადი და სახალხო, ისპობა! არა, მეცნიერებისა, მხატვრობისა და გამოგონებათათვის აღარავისა სცალიან.

ვერც გავამტყუნებთ ამისათვის საზოგადოებას. სანტოსი ვის მოაგონდება იმ დროს, როდესაც იმასთან ერთად ლონდონში დაბრუნდა ტყვე-ბავშვთა ახალგაზდა და მხნე დამცველი, Miss ჰობგაუზი? მერე როგორ დაბრუნდა?—განდევნილი კაპის ახალშენიდგან. არა ჩვეულებრივი და საკვირველი საქმეა ეს ინგლისისათვის!... სამხედრო მოხელეებმა და დღევანდელმა მთავრობამ ამ ახალგაზდა ქალის სახით გაჰქლეს ინგლისის მოქალაქის უმთავრესი უფლებანი. ინგლისში არავის განდევნა არ შეუძლიანთ ერთის პროვინციიდგან მეორეში. არც მოხელეებს, არც სასამართლოს არა აქვს უფლება განდევნონ ისინიც-კი, ვისაც დანაშაულობა მიუძღვის სისხლის სამართლის წინაშე. აქ-კი, მოულოდნელად, სამხედრო მოხელენი გემში სვამენ და ძალად უკანვე ინგლისში აბრუნებენ დიდად განათლებულ, სამაგალითოდ კეთილს, მდიდარს და ცნობილ გვარის ქალს, აბრუნებენ დაუკითხავად, უსამართლოდ ისე, როგორც ოსმალეთში იქცევიან ხოლმე. რათა?

იმიტომ რომ პირველ მგზავრობის დროს ჰობგაუზმა პირველმა აღიმაღლა ხმა იმ ძალ-მომრეობის წინააღმდეგ, რომელსაც მოხელენი სამხრეთ-აფრიკაში დაადგნენ, თავი გამოიდო უმწეო და უდანაშაულო დედაკაცთა და ბავშვების საშველად, რომელთაც სიმშილითა და სიცივით ჰხოცავენ. ჰობგაუზმა მიაწოდა ცნობები მორლეის; ამ ცნობების წყალობით შეეკითხა იგი მთავრობას პარლამენტში. ჰობგაუზმავე აუწყა ხალხს დედაკაცთა და ბავშვთა ტანჯვა-წვალების ამბები. მთავრობა და იმისი აგენტები ხელს უშლიდნენ , პირის აკვრას სცდილობდნენ, მაგრამ კეთილშობილმა და თავგამოდებულმა ახალგაზდა ქალმა მაინც გამოაფხიზლა საზოგადოება, გაუღვიძა თანაგრძნობა მსხვერპლთადმი და ზიზღი მძარცველთადმი. დღეს უკვე მოხუც ფლორენსია ნაიტინგალივით (პირველი და მოწყალებისა სევასტოპოლის დაჭრილთა შორის), Miss ჰობგაუზი გამომხატველად გამოვიდა იმ დიად ჰუმანიზმისა, მოვალეობისა და რწმენისათვის თავ-გამოდებისა, რომლითაც გამსჭვალულია სალიბერალო ინგლისის განათლებული და მოწინავე დედაკაცი. აი, ამისათვის განდევნეს იგი სამხრეთ-აფრიკიდგან რეაქციონერმა სამინისტრომ და მოუხეშავმა სამხედრო მოხელეებმა.

მოხელეებს გზა-კვალი აერიათ, დავთრები დაებნათ; მხოლოდ ამით აიხსნება განდევნა და ძალ-მომრეობა. თორემ კარგად რომ დაფიქრებულიყვნენ, თვით მიჰხვდებოდნენ, რომ ოფიციალურ ანგარიშის მშრალი ციფრებიც-კი (ამ ციფრებით, ინგლისის ბანაკებში მყოფ ბოერთა 1000 ბავშვიდგან 433 ესალმება წუთი-სოფელს) უჰობგაუზოთ აალაპარაკებდა კაცობრიობას, რომ მარტო ეს ციფრებიც საკმაო არის ამ სისხლის მღვრელ ომის დამწყებთა და აღმასრულებელთა დასაწყევად.

მაგრამ გადამდები სენი თან და თან ძლიერდება და მოსაზრებას უკარგავს კაცს. ასე რომ არ იყოს, განა სამინისტრო თავის, უიმისოდაც გაჭირვებულ, მდგომარეობას უფრო მეტს გასაჭირში ჩააგდებდა თუნდა, მაგალითად, გენერალ ბულლერის საქმით? მეც-კი, უცხოელმა, კარგად უწყოდი, რომ ბულლერს პატიოსნებასა და ჯარის-კაცთა სიყვარულისათვის დიდი სახელი აქვს გავარდნილი და რომ იმისი ძალად სამსახურიდგან დათხოვნა საზოგადოებაში უკმაყოფილებას გამოიწვევდა? მაგრამ მინისტრები ლორდ რობერტსთან ერთად არ მოერიდნენ ამ დათხოვნას. მერე რა გამოვიდა, არ იკითხავთ? მთელს ინგლისში, განსაკუთრებით დევონშირში, საიდგანაც ბულლერია, საზოგადოება და ჯარი პატივსა სცემს ბულლერს, როგორც გმირს და გა ძვერაობის მსხვერპლს. წარსულ კვირას, მთავარს ბანაკში ალდერშოტ მთელის ჯარის მთავარ-სარდალი ლორდ რობერტსის გავლისას სტვენა და „გაუმარჯოს გენერალ ბულლერს!“ ძახილი მოისმა. ხოლო გუშინ ჰაიდ-პარკში მრავალ-რიცხოვანი მანიფესტაცია გაიმართა მუ

ნეთიც არა აქვს. და გარდასწყვიტა თავი დაანებოს მომავალ წელს სამეურნეო გამოფენის გამართვას.

⁂ დღეს, 6 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: 1) რამდენი გაკვეთილი უნდა იქნეს ქალაქის სკოლებში ადგილობრივ ენებისა, 2) შუამდგომლობა ტფილისის მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების საზოგადო განათლების მუზეუმისათვის ფულით შემწეობის შესახებ, 3) მოხსენება ქ-ნ შაპოვალოვისა, რომ შეიძინონ მისი ბიბლიოთეკა; 4) შუამდგომლობა ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორისა, რომ მიეცეს სასწავლებელს 170 მან., რომელიც დახარჯული იყო მისი საკუთარ თანხიდგან ქალაქის პავილიონისათვის გამოფენაზე ნივთების შესაძენად 5) მოხსენება თუ როგორ მოაწყონ ქალაქის სასწავლებელთა მოსწავლეთათვის გონივრული გასართობები იმ 1500 მან. რომელიც ამ მიზნისათვის აქვს კომისიას გადადებული- ამ საღამოს სულ განსახილველად დანიშნულია 14 საქმე.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუვალებია უბნის ბოქაულებისათვის, რომ სახლის პატრონებს მოელაპარაკონ მეეზოვების დაქირავების შესახებ. პოლიციის მოსაზრებით კარგ შემოსავლიან სახლს ერთი საკუთარი მეეზოვე უნდა ჰყავდეს, ზოგს ძალიან დიდს და შემოსავლიან სახლებს რამდენიმეც. მხოლოდ პატარა სახლებს, რამდენსამე ერთად ერთი მეეზოვე. ზოგიერთს უბანში შეიძლება 12 სახლს ერთი მეეზოვე დაენიშნოს, და მთელს ლაბორატორიის სლაბოდკას ერთი მეეზოვე დაენიშნება. ამასთანავე სავალდებულოდ აღარ ჰხდიან, რომ სამსახურს გარეშე მყოფი სალდათები დაიქირავონ მეეზოვეებად; სახლის პატრონი დაიქირავებს იმას, ვინც თითონა ჰსურს. როსტორის არტელის წარმომადგენელის წინადადება პოლიცმეისტერს არ მიუღია, რადგანაც ქალაქის სასარგებლოდ ვერ დაუნახავს.

⁂ პოლიციის მე-8 ნაწილში გუშინ 5 დეკემბერს დილის 3 საათზედ ციციშვილის ამართზე უნახავთ ვიღაც მოკლული და დაგდებული უცნობი კაცის გვამი; პოლიციის გამოძიებით მოკლული აღმოჩნდა ტფილისის მეტეხის საპყრობილეს მეთვალყურე იოსებ სერიდენკო. საწყალ სერიდენკოს გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო თეატრში გაგზავნეს. მკვლელების აღმოსაჩენად გამოძიებაა დანიშნული.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ნება დართო ი. დ ბაქრაძეს განაგრძოს გამოფენის ტერიტორიაზე გამართულ ამერიკულ-რუსულ გორებზე თვით მოძრავი მანქანის მუშაობა, იმ პირობით, რომ მთელი შემოსავლის 10% გარდაიხადოს საბაღოსნო სკოლის სასარგებლოდ.

⁂ 4 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების ანნა აბულაძისა, რომელსაც ბრალად სიყალბის ჩადენა ბრალდებოდა. აბულაძისათვის ოლქის სასამართლოს გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და 8 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. პალატამ უდანაშაულოდ იცნო აბულაძისა აღნიშნულ ბრალდებაში და სრულიად გაამართლა.

⁂ 5 დეკემბერს სხდომაზედ ქალაქის მოურავის მოადგილემ განუცხადა გამგეობას, რომ 8 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ქალაქის გამგეობის ყოველ წევრთა და გარდაცვალებულ მოურავის გ. ევანგულოვისა და რადგანაც პალატა საქმის გარჩევის დროს თითქმის მთელს გამგეობას იბარებს, საჭიროა შეწყვეტილ იქმნეს გამგეობაში მუშაობა იმ დღიებში როცა საქმის განხილვა იქნება დანიშნული. გამგეობამ გარდასწყვიტა დაევალოს მოურავის მოადგილეს სთხოვოს სამოსამართლო პალატას უფროს თავმჯდომარეს, რომ საქმის გარჩევის დროს გამგეობაში დასტოვოს მაინც ერთი გამგეობის წევრი, კასირი ანუ მისი თანაშემწე, უფროსი ბუღალტერი ანუ მისი თანაშემწე. თუ ვინიცობაა ეს შუამდგომლობა პალატამ შეიწყნარა, გამგეობაში მუშაობა არ შესწყდება.

⁂ რკინის გზის კონდუკტორებს აქვთ თავიანთი საკუთარი ბიბლიოტეკა-სამკითხველო, კონდუკტორების ფულით დაარსებული. კონდუკტორებს ყოველთვიურად უჭერენ ორს ან სამ შაურს თვითოს, მათ შორის ქართველობა თითქმის აღემატება სხვა ტომის ხალხს, მაგრამ ქართულს ენაზედ მხოლოდ ერთი გაზეთი აქვთ გამოწერილი და იმასაც ვინც მოასწრებს ის წაიღებს და დანარჩენი-კი გაზეთით ვეღარ სარგებლობენ.

ჩვენი მოამბე, ერთი მონაწილეთაგანი ბიბლიოთეკისა, გვთხოვს ბიბლიოთეკის გამგეს ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ შესაძლოა და სასურველიც წევრთათვის, შემოიღონ უფრო სამართლიანი წესი, რომელითაც უნდა იხელმძღვანელონ წიგნებთა და ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობის დროს.

⁂ გამოვიდა და ხელის მომწერლებს დაურიგდა ჟურნალის „Кавказскій Вѣстникъ“"-ის № 12 შემდეგის შინაარსისა: 1. ნათესავი დიდი-კაცი, მოთხრობა დ. ვედრებისელისა, II. მთლად თავით თვისით, მოთხრობა კ. როგოვსკისა. III ორი დრუზელი ლექსი თუმანიანცისა, ივან-დამარიასი, IV. ბარონ დე-ბაის არქეოლოგიურ გამოკვლევიდან, V ამორძლები კავკასიაში, ეპირ-გადმოცემა, ე. აპარინა. 6 კავკასიის საუბილეო გამოფენაზე, ვორონეჟევისა. 7 სერბიის დედოფალი ნატალია, ე. ბახუტოვისა. 8 აღმოსავლეთის ენათმეცნიერი (მაქს მიულლერის ქარაქტერისტიკა) ს. ბურდიაევისა. 9 თავდაპირვანდელი გაცნობა სომეხთაგან რჩდილო-აღმოსავლეთ რუსეთისა ა. დ. ერიცოვისა, 10. ევროპის სანატორიების სხვა-და-სხვა ტიპები ჰლექით ავათმყოფთათვის და იმ გვარ სანატორიების კავკასიაში დაარსების დაჩქარება, დ-რის ბაძაიან-ბაბაევისა. 11 რამე-რუმე ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის გამო, 12. გენერალი ბურავოვი, კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფი, მოგონება ლ. ისარლოვისა .13. 1901 წლის რუსულ ჟურნალების მიმოხილვა. 3. ია—ვისა. 14. კავკასიის ქრონიკა. 15. უცხოეთი მიმოხილვა. 16 კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. მ. კ-სა 17 ნარევი. საქართველოს მეფისძე (საბერძნეთი იმპერატორი) და 18 განცხადებანი

⁂ ამ თვის 16-ს ოზურგეთში დანიშნულ კრებისათვის გურიის „შუამავლის გამგეობა წერილობით ახსენებს თავის წევრებს, 1) ვისაც სურს კრებას წარუდგინოს რაიმე ინადადება განსახილველად, გამგეობას უნდა გამოუგზავნოს ერთი კვირით ადრე კრების გახსნამდე. 2) ვისაც კრებაზედ დასწრება არ შეუძლია. გამგეობას უნდა გამოუგზავნოს რწმუნების წერილი, რომელიმე წევრის სახელზედ, რომლების სია გამგეობისაგან ეგზავნებათ 3) თანხმად წერილისა, წევრს, რამდენიც წილი უნდა ჰქონდეს, არ შეუძლია იქონიოს ორი ხმის მეტი (ერთი თავისი და ერთიც ვექილობით) და, რადგან შესაძლოა ერთ წევრს რამდენიმე ვექილობა მიუვიდეს, საჭიროა ვექილობა ისე შედგეს, რომ სხვა პირზედაც გადიცემა შეიძლებოდეს''.

სახელდახელო

ტფილისშიაც აჩანჩალებს თავისს სიცოცხლეს მოქალაქეთა, ანუ „მეშჩანია“ საზოგადოება.

ყოველ სამს წელიწადში ერთხელ შეიკრიბებიან ხოლმე „მოქალაქენი“ და ირჩევენ თავიანთ შორის ღირსეულთ—„დეპუტატებს“.

ამ „ღირსეულთა“ შორის უღირსებულესი ის არის, რომელიც თავისს სახელსა, მამის სახელსა და გვარს, დილით რომ დაიწყოს, ბინდამდე მოაწერს და რომელსაც რუსულის წერა-კითხვის ცოდნა იმდენად მკვიდრი აქვს, რომ სამ-ასოიანს სიტყვაში ოთხი შეცდომა არ მოსდის.

ამ უღირსებულესს უწოდებენ მოქალაქეთა გამგეობის თავმჯდომარეს, გინა უსტაბაშს, გინა „ტაროსტას“.

იმას აბარია მოქალაქეთა შორის სხვა-და-სხვა სახით შეკრებილი ფული, იგივეა მოქალაქეთა გამგეობაში, ამ წოდებრივს დაწესებულებაში, კანონის დამცველი და დარაჯი.

დღევანდლამდე ჩვენის დალოცვილ ტფილისის ლიპიანი და ულიპო მოქალაქენი თავიანთ შორის ისეთ კანონის დარაჯს ირჩევდნენ რომ მისი შესვლა მოქალაქეთა გამგეობაში, და კანონიერების გარეთ გავარდნა ერთი იყო ხოლმე.

ამ გამგეობაში უკანონობა კანონიერების „მუნდირით“ თავისუფლად დაგლიჯინობდა და თავმჯდომარე თავისის ხელქვეითებით—მდივან-საქმის-მწარმოებელ-გადამწერლებითურთ ტაშსა სცემდნენ, როდესაც უკანონობა გამგეობის დარბაზში ბუქნასა და ბალდადურს უვლიდა.

რასაკვირველია, ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ სამის წლის ვადით ამორჩეულს მოქალაქეთა თავმჯდომარეს სამის კვირის სამსახურის შემდეგ თავი დამნაშავის ხმელს სავარძელზედ არ ამოეყოს და საგამომძიებლოდ არ გახდომოდეს საქმე.

ასე იყო გუშინ, ასეა დღეს და, ჩვენი-წარმატება ისეთის კუს ნაბიჯით მიცოცავს, რომ სრული იმედია, ასევე იქმნება ხვალაც.

წრეულსაც, ჩვეულებისამებრ, აწინდელი მოქალაქეთა „ტაროსტა“ იედიგარ იედიგაროვი დააბრძანეს იმ ადგილას, სადაც მგლებს თავზედ სახარებას უკითხავენ ხოლმე.

იმის ნაცვლად მთავრობამ თევდორე ასიტოვი დანიშნა.

მივიდა ეს „ნაცვალი“ მოქალაქეთა გამგეობაში, მიიხედა-მოიხედა და პირს ცხრა ტყუპი კატა ეცა.

თურმე ამ უცნაურსა და საკვირველს გამგეობაში დიდი ხანია გაბატონებული ყოფილა ერთ გვარი ძალა, რომელსაც ბერძენთა მითოლოგიაში ეწოდების ხაოსი, სწორედ ის ხაოსი, რომელიც მისთხოვდა ეროსს და რომელმაც მასთან შეკავშირებით ჰშვა პირმშოი თვისი ტარტარი, ანუ ქვესკნელი.

ერთი წვნიკი მოხელეცა-კი არ არის მთელს გამგეობაში თურმე ისეთი, რომ ბრალმდებელის მზრუნველობისა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ არ იმყოფებოდეს.

ამ გამგეობის მოხელენი ნუნუასა და პილატეს ცრემლს ისე ეტა-

ზიკითა და დროშებით. როგორც გაზეთები ამბობენ, ამ მანიფესტაციას ასი ათას კაცამდე დაესწრო. ეს ამოტელა ხალხი, ქუჩებში გავლისას, ბულლერის სურათებით ხელში, მღეროდა და ბულლერის სახელს იძახდა, უსტვენდა რობერტსის, ჩემბერლენისა და სხვა მინისტრების სახელების გაგონებაზე!

ყოველივე ეს ცუდი ნიშნებია სამინისტროსათვის. კარგი რამ ამ საქმეში არც ლონდონისათვისაა. ეს მოვლენა—მხედრის ქება-დიდება—ახალი მოვლენაა აქ. დღემდე მანიფესტაციებს ლონდონი უფლებების და რეფორმებისათვის ჰმართავდა; იგი ალტაცებით ეგებებოდა ხოლმე გლადსტონს, კობდენს და სხვებს, როგორც რეფორმატორებს და სახელმწიფო მოღვაწეებს; ლონდონის მუშები მანიფესტაციებს ჰმართავდნენ (ხშირად 100 და 200 ათასი იკრიბებოდა) რვა საათის სამუშაო დღისთვის, დიდის შეთქმულებების მხარის დასაჭერად და სხვა საქმეებისთვის ხოლო აპოთეოზი გენერალს, თვით უუპატიოსნესს გენერალს—არასოდეს არა ყოფილა; ინგლისისათვის ეს ახალი ხილია. გუშინდელი მანიფესტაცია ერთის მხრით სასიამოვნოა, რადგანაც იგი მომასწავებელია ოპოზიციის გაზდისა სამინისტროსა და სასტიკ ომის წინააღმდეგ; მაგრამ მეორეს მხრით —სამწუხაროა... ნებაუნებურად მაგონდება ესპარტერო და ოდონელი, პრიმი და ბულანჟე, ხოლო იმათთან ერთად პრონუნციამენტო და სახელმწიფოს საქმეთა არივ-დარევა.

მართალია, ბულლერი ბულანჟე არ არის. იგი ჭკვიანი, განათლებული, პატიოსანი და პირდაპირი კაცია; მაგრამ საერო გმირად, რასაკვირველია, ვერ ჩაითვლება, გარიბალდად ვერ გახდება, იმ გარიბალდად, რომელსაც ლონდონელნი ხელით ატარებდნენ. გარიბალდი ერთად ერთი კაცი იყო, რომელსაც განვლილ საუკუნეში ლონდონელნი ხელით ატარებდენ. დამეთანხმებით, რომ გარიბალდის შემდეგ პატიოსანი ბულლერი ქონდრის კაცია...

იძულებული ვარ, სრულიად შევცვალო მეორე ნახევარი ჩემის ფელეტონისა. დღეს გამოქვეყნდა Miss ჰობგაუზის ახალი წიგნაკი, რომელშიაც აწერილია ახალგაზდა ქალის დაპატიმრება და კაპის ახალშენიდგან განდევნა. იმის მოკლე ნაამბობიდგან ინგლისელებმა გაიგეს ისეთი ამბები, რაც ინგლისელებს არა სჩვევიათ.

„პირველად ყოვლისა კაცის ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ თავისუფალი და დიდად განათლებული ინგლისელი მანდილოსანი, ახალშენის გუბერნატორთანა და სხვა წარჩინებულ მოხელეებთან წერილებით შეიარაღებული, შეპყრობილ იქმნა იმ გემზედ, რომელზედაც მთელი 28 დღე ზღვის ავადმყოფობისაგან იტანჯებოდა. გაოცებთ მეორედ ის ამბავი, რომ სამხედრო მოხელეებმა არ შეუშვეს ამ ქალთან კარგად ნაცნობი ქალაქელი ექიმი და მესამედ—„სალდათური“ მოუხეშაობა სამხედრო ექიმისა, რომელმაც Miss ჰობგაუზი გასინჯა, ჯარის-კაცები მიიწვია და გადაიყვანა სამხედრო გემზედ. ამ გემზედ არც დედაკაცის კაიუტა მოიპოვებოდა და არც მოხელე იყო.

მაგრამ ყველაზედ გასაოცარი ახალგაზდა ქალის სიმტკიცე და სიმამაცეა. როდესაც მოუხეშავი სამხედრო ექიმი ვილიამსონი მეორედ შემოვიდა და გამომიცხადა, რომ დაუყოვნებლივ სამხედრო გემზედ უნდა გადახვიდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემთან მოსული მომვლელი ქალები გადაგიყვანენო, „მე მივმართე ქალებს, სწერს ჰობგაუზი, და ვთხოვე, ძალა არ ეხმარათ. უნდა სამხედრო დისციპლინას დაემორჩილოთო, მომიგეს; მაგრამ მოვაგონე, რომ კაცის და ბუნების კანონები სამხედრო კანონებზედ მაღლა სდგას და ხელ-მეორედ ვთხოვე, თავიანთი წმინდა საქმე ძალმომრეობით არ შეებღალათ. მამაკაცთან ვერაფერი გავაწყე, სამაგიეროდ დედაკაცებმა შეისმინეს ჩემი სიტყვები: ორივე მომვლელი ექიმის თვალწინ გავიდა ოთახიდგან. გულ-წრფელი მადლობა გადავუხადე მათ; ნამდვილ ინგლისელ დედაკაცებსავით მოიქცნენ ეს ქალები“...

ერთის საათის შემდეგ იგივ ექიმი ორის ჯარის კაცით შევიდა. როდესაც ექიმმა გაუმეორა, ნებით გადადით, თორემ ძალით გადაგიყვანთო, ჰობგაუზმა მიუგო, ავადა ვარ და ვერსად წავალო... ჩემი უარი პრინციპზეა დამყარებული, ხოლო პრინციპებს დღე-ღამეში არ იცვლიანო, მიუგო ქალმა.

— მაშ გსურთ, როგორც გიჟი, ისე გაგიყვანოთ აქედგან?

— სიგიჟე, ბატონო, თქვენ და იმათ მხარესაა, ვის ბრძანებასაც ასრულებთ. საკუთარის ღირსების შეგნება რომ გქონდეთ თავს დამანებებდით და აქედგან გახვიდოდით.

მაგრამ მოუხეშავ ექიმს დაუმტკიცებია, რომ საკუთარის ღირსების შეგნებას მოკლებულნი არიან ისინი, ვინც სიკვდილის ფარეხებს ჰმართავენ ტრანსვალ-ორანჟის დედაკაცებისა და ბავშვებისათვის ახალგაზდა ქალისათვის საკუთარის წამოსასხამით ხელები შეუკრავთ და ასე შეკრული გადაუტანიათ სამხედრო გემზედ.

მოწინავე ინგლისი და განათლებული ინგლისელი ქალები ამაყობენ Miss ჰობგაუზით. იმათ, ეჭვი არ არის, თანაუგრძნობს ყველა პატიოსანი კაცი, ეროვნობის გაურჩევლად.

მთავრობა და იმისი მეგობრები მეტად უკმაყოფილონი არიან სამხედრო მოხელეებისა ამ არა ინგლისურს საქმეში. მინისტრებს ცუდი საქმე მოელით: არამც თუ პარლამენტში შეეკითხებიან, უმაღლეს სასამართლოს წინაშე საჩივარსაც აღძრავენ. ლორდ ჰობგაუზმა, ახალგაზდა ქალის ბიძამ, უკვე მოიწვია საუკეთესო ვექილნი საჩივრის დასაწყებად. რითაც უნდა გათავდეს საჩივარი, იგი უთუოდ დიდ საზოგადოებრივ აგიტაციას გამოიწვევს, რასაკვირველია, არა სამინისტროს სასარგებლოდ.

ვ. მარველი.

ნებიან, რომ ცისკარის დარეკვამდე „მზად“ არიან თურმე, იმდენად „მზად“, რომ სიარულში მარჯვენა ფეხი მარცხნივ გაურბით და მარცხენა—მარჯვნივ.

ვიდრე სხედან მოხელენი, კიდევ არა უჭირთ-რა, მაგრამ წამოდგებიან თუ არა, დაიწყებენ მერყეობასა და ქანაობას, ხშირად ასკინკილაც აუტყდებათ ხოლმე და ამ გვარად მთელი გამგეობა დილიდგანვე გამოფხიზლებას ჰსაჭიროებს.

ზოგიერთს პილატეს ცრემლის ბოლოწოს გარდამეტებით თაყვანის-მცემელს მოხელეს ხელ-წერილიც-კი აქვს ჩამორთმეული დაახლოვებით შემდეგის შინაარსისა:

„მე, ამისა ქვემორე ხელის მომწერელი, ტფილისის მოქალაქეთა გამგეობის მოხელე ივანე ვინოპიანოვი ამიერიდგან ვდებ პირობასა რომ მუშაობის დროს აღარ დავლევ ზომა-გადაცილებულს და დილ-დილითაც იმდენად ფხიზელი ვივლი სამსახურში, რომ ჩემის წყვილის ფეხით სხვათა ხელ-დაუჭერლად შემეძლოს გამგეობის კიბეზედ ასვლა“.

ასეთ ხელ-წერილებისათვის განსაკუთრებული „საქმე“-ც არის შედგენილი, მაგრამ არც ამან გასჭრა.

თითოეული მოხელე მაინც ორს „დეპუტანტს“ აჰყავს გამგეობის კიბეზედ იღლია-დაჭერილი, ხოლო ჩამოსვლით-კი საკაცეთი ჩამოაქვთ, რადგან აყვანის დროს მოხელეს თან ასდევს ორი შუშა „გამოსაპახმელიებელი“, მოხელის აქეთ-იქით ჯიბეებში ადრევე თავდარიგიანად ჩალაგებული.

აი, ეს ბახუსის მოსავნი აწარმოებენ „Дѣло“-ებს!..

რაღა თქმა უნდა, სრული მოსალოდნელია, რომ ამ წარმოების დროს დიდი ადგილი ჰქონდეს დათმობილი რუსეთის ბიუროკრატიის იმ მადლ-მოსილს პირმშო შვილს, რომელიც დამჟავებულს ქალიშვილებს ათხოვებს და ჯოჯოხეთს საოცნებოდ ანათებს...

ეცა პირს კატა თევდორე ასიტოვს და... მოჰკურცხლა.

ამასთანავე, მოახსენა, სადაც ჯერ იყო, რომ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობა დიდი ხანია დაუგველია, იატაკებზედ ბოლოკის კუდები, კვერცხის ნაჭუჭები და ბოთლის ნამტვრევები ჰყრია და კარგი იქმნება, იქაურობას ცოცხი მოესვასო.

თევდორე ასიტოვმა მოჰკურცხლა, „ამის ქვემორე ხელის-მომწერელნი“-კი იქავე არიან და... ცოცხს ელიან.

ბარაქალა იმათ ღვაწლს!..

თუ მომავალს წელს გამოფენა განეგრძო, კარგი იქნება, რომ ეს „გამგეობა“ აჩვენონ საზოგადოებას სპირტით სავსე ბანკით, რომელშიაც მშვენივრად გაისაძლისებენ მოქალაქეთა გამგეობის „ჩინოსანნი“.

ჩიორა

ნარკვევი

ამ ბოლოს დროს რუსეთის მწერლობა მომეტებულს ყურადღებას აქცევს მემამულეთა საჭიროებას, ხოლო გლეხ კაცის გაჭირვებაზე-კი ხმას თითქმის არავინ იღებს. ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღებას აქცევს ბ-ნი დუდჩენკო, რომელიც სწერს ჟურნალში „Хуторянинъ“. დიდ მამულების პატრონთა დახმარებისათვის არა თუ ბევრსა სწერენ, არამედ ბევრსაც აკეთებენ, ხოლო წვრილ მემამულეთა და გლეხთა სასარგებლოდ ხმასაც არავინ იღებს.

ბ-ნი დუდჩენკო ეხება ერთს საგანს, რომელზედაც, ვგონებთ, ჯერ არავის ჩამოუგდია ლაპარაკი. ავტორი ამტკიცებს, რომ დიდის მამულის გაუმჯობესობას სრულებით არა აქვს ისეთი საკეთილო გავლენა გლეხის მეურნეობაზე, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

ფიქრობენ, ვითომ დიდის, კარგად დაყენებულის მამულის გაუმჯობესობას გლეხები წაჰბაძავენ. დიდად სასიამოვნო იქმნებოდა, ასე რომ იყოს. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. გლეხი არა ჰბაძავს მდიდარს მემამულეს, რადგანაც კარგად იცის, რომ იმ გვარად მეურნეობის დაყენებისათვის ძალა არ შესწევს. ყველამ კარგად ვიცით, რომ მშვენივრად მოწყობილ მამულის გვერდით არის ხოლმე სრულიად დაცემული ადგილი გლეხისა, რომელსაც ფიქრად არ მოსდის თვისის ადგილის გაუმჯობესობა. ეს გარემოება კარგად უნდა ახსოვდეთ იმათ, ვისაც ჰგონია, ვითომ შესაძლებელი იყოს თვისის მამულის გაუმჯობესობით გლეხ კაცს დავეხმარები, მე წამბაძავს და იმისი საქმეც წინ წავაო. არა, ერისა და იმავე დროს კაცი ორს ბატონს ვერ ემსახურება

გლეხი კაცი იმდენად გაჭირვებულია, იმდენი უბედურება ატყდება თავზე, რომ ეხლა სრულებით მეტია იმაზედ ლაპარაკი, უნდა დავეხმაროთ, თუ არა.

მაგრამ როგორა და რით უნდა დაეხმაროს კაცი გლეხს, როდესაც ნათლად ჰხედავ, რომ არც ცოდნა აქვს, არც ფული და არც საკმაო მიწა. დროა ამაზედ თვისი პასუხი წარმოსთქვას განათლებულმა საზოგადოებამ; უყურადღებოდ დატოვება ამ საქმისა ყოვლად შეუძლებელია. იმას ხომ ვერავინ უარჰყოფს, რომ მარტოდ მარტო გლეხსა და მუშაკს აწევს ზურგზე გაკეთება ყველა იმისა, რითაც სცოცხლობს მთელი ქვეყანა და იმავე დროს თვით ამ მშრომელს-კი იმდენიც არა აქვს, რომ გამოიკვებოს.

ავტორის აზრით, გლეხის კაცის შველა იქიდგან უნდა დაიწყოს, რომ ინტელიგენტმა თავი უნდა დაანებოს ეხლანდელს თავის ცხოვრებას და იმით გაუადვილოს გლეხს ცხოვრება დახმარება ინტელიგენტს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც სოფლად იცხოვრებს, დაუახლოვდება გლეხს, შეისწავლის სოფლის ყოფა-ცხოვრებას. თვით ეს ცხოვრება ასწავლის მაშინ ინტელიგენტს, როგორის გზით უნდა ეხმარებოდეს გლეხს.

გლეხი კაცი დიდის ყურადღებით მოეპყრობა ისეთის კაცის სიტყვასა და მოქმედებას, რომელიც მიუხედავად სიღარიბისა და ადგილის ნაკლებობისა, კარგად წაიყვანს თავის პატარა მამულის მეურნეობას

მხოლოდ ასეთს კაცს წაჰბაძავს გლეხი და მხოლოდ ასეთს მშრომელს შეუძლიან მართლა სარგებლობა მოუტანოს სოფელს და არა დიდის მამულის მდიდარს პატრონს.

რუსეთი

— უმართებულესმა სენატმა პრინციპიალურად გარდასწყვიტა, რომ ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ არჩეულ კაცის დამტკიცება მთლიანად დამოკიდებულია გუბერნატორზედ და არაფერს შემთხვევაში საჩივარი ქალაქის გამგეობისა ქალაქის მოურავის დაუმტკიცებლობაზედ არ იქნება დაკმაყოფილებული.

— ქალაქის საქმეთა საკრებულოზე თურმე დამოკიდებულია, აღკრძალოს ქალაქში ქარხნებისა და ფაბრიკების სამუშაოდ მომწვევი საყვირები, თუ რომ მცხოვრებთა სიმშვიდესა და წესიერებას არღვევენ.

— საერო განათლების სამინისტროს სწავლულთა კომიტეტს ამ ჟამად განსახილველად თურმე წარდგენილი აქვს წინადადება იმის შესახებ, რომ პირველ დასაწყისს სკოლებთან კოლექტიური სამზრუნველოები იქმნენ დაარსებულნი. სამზრუნველოში მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები, აგრეთვე იმ უწყებათა, დაწესებულებათა, საზოგადოებათა წარმომადგენელნი და კაცნი, რომლებიც სკოლის შენახვაში ხარჯს ეწევიან. სოფლის სკოლებში სამზრუნველოებში მონაწილეობას მიიღებენ მამასახლისები.

— თებერვალში განიხილავს სამკურნალო საბჭო იმ საგანს, რომ ებრაელებს კავკასიისა და რუსეთის ყველა სამკურნალო ადგილებში ჰქონდეთ უფლება დროებით ცხოვრებისა, როდესაც ამას მათი სუსტი ჯანმრთელობა მოითხოვს.

— პეტერბურგის მკურნალს ქალებს გარდაუწყვეტიათ 1902 წლიდგან ყოველ თვიური ჟარნალი „Женская Гигіена“ გამოსცენ.

— სამრევლო-საეკლესიო სკოლების შესანახავ გადადებულია $3^1/_2$ მილიონი მანეთი.

— საერო განათლების სამინისტრომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სამასწავლებლო სემინარიებში სწავლა დამთავრებულებმა ვალდებულება ხუთის წლით სამოსწავლო უწყებაში სამსახურისა უთუოდ შეასრულონ ხოლმე.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ, რომ კერძო საჩაიოების მოწყობის საქმე როგორმე უკეთ მოწესრიგდეს. განზრახვა აქვთ სახალხო სიფხიზლის საგუბერნიო კომიტეტებს მისცენ უფლება კერძო საჩაიოების დაკეტვისა, როდესაც ამას საჭიროდ სცნობენ.

— ფინანსთა სამინისტროს უარი უთქვამს საზოგადო სახელოსნო საკრედიტო ამხანაგობათა დაარსებაზედა და ნებას ჰრთავს მხოლოდ კერძო ამქრებს ასეთი ამხანაგობანი დააარსონ.

ფინანსთა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ სახაზინო პალატებისა და გარდასახადთა ინსპექციის მოხელეებმა ყველა სავაჭრო-სამრეწველო სახლებს რევიზია და კანტროლი გაუწიონ ხოლმე და თვალ ყური ადევნონ, რამდენად სწორედ იხდიან საგერბო გარდასახადს.

— ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს რუსეთის რკინის გზებზედ ყურძნისა და სხვა ღვინოების, აგრეთვე რუსეთის კონიაკისა და სხვა სასმელების ზიდვის ტარიფები განიხილოს.

— გარდაწყვეტილი აქვთ თამბაქოს წესდების მთლიანად განხილვის ნაცვლად ზოგიერთი ცვლილება მოახდინონ.

ახალი წიგნი

რედაქციამ შემდეგი წიგნები მიიღო:

1) „თამარ ლაზნელი,“ თხზულება ანტონ ფურცელაძისა., მეორედ გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 50 კაპეიკად.

2) „საბრალო კრიტიკოსი.“ თ. კიკვაძესი. წიგნაკი ერთ შაურადა ღირს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)“

4 დეკემბერი.

ხარკოვი. დეპუტატებად სამხრეთ-რუსეთის მთა-მადნის მწარმოებელთა კრების შუამდგომლობის დასაცველად ფინანსთა სამინისტროს წინაშე კრების საბჭომ აირჩია ინჟენერები ავდაკოვი, ისიუკევიჩი, იუზი, გორიაინოვი, ჟუკოვსკი, ტასკინი და განნეშსერი და ქვანახშირის მწარმოებელი კარპოვი. დეპუტაცია პეტერბურგში მიმდინარე თვის ნახევარში მივა.

ბუქარესტი. საერო ბანკმა აცნობა პარიჟსა, ბერლინსა და ფრანკფურტში, რომ რუმინიის რენტის იანვრის კუპონების განაღდება იანვრიდგან დაიწყებაო.

ლონდონი. გაზეთები აღნიშნავენ რა როზბერის სიტყვას, ამბობენ, რომ ეს სიტყვა მოწვევაა ახალის დასის შესადგენადაო, როზბერი ჰომრულსა და ირლანდიის დასს გადაუდგა. პოლიტიკურს წრეებში ამბობენ, რომ ამით როზბერის უნდოდა, მიეწვია ლიბერალები და უნიონისტები ახალ დასის წევრებადაო.

5 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება: „ფინლიანდიის დრაგუნთა რაზმის ნაცვლად შესდგეს ფინლიანდიის მე-55 დრაგუნთა რაზმი“. არხანგელოგოროდსკი დრაგუნთა მე-49 რაზმის უფროსი პოლკოვნიკი გრიგორკოვი ფინლიანდიის მე-55 დრაგუნთა რაზმის უფროსად იქმნეს დანიშნული. მისის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელწოდების დღეს ისაკის ტაძარში შეიკრიბნენ დილის 11 საათისათვის ქ-ნნი ფრეილინები, სასახლის კაცნი და კავალერნი.

ლონდონი. როზბერის მიერ გუშინ ჩესტერფილდში წარმოთქმულ სიტყვიდგან ბურებთან ომის შესახებ ის აზრი გამოჰყავთ, რომ იგი მომხრეა სამხრეთს აფრიკაში ფართე ამნისტიისა და იმისა, რომ ყველა ბურს, რომელიც-კი ერთგულობაში ფიცს მიიღებს, სრული მოქალაქობრივი უფლებანი მიენიჭოს. რამდენადაც მალე აღიარებენ მოქალაქობრივს პასუხის მგებლობას, იმდენად ჩვენთვის უმჯობესიაო. ქვეყნის საბოლოოდ დამშვიდებამდე უნდა იქმნეს არჩეული კომისსია ადმინისტრატთა იმავე რიგად, როგორც ეს ოსტინდიაშია და ამათ უნდა აღადგინონ მშვიდობიანობა და წესიერება ერის სახელითაო. კომისიასთანვე უნდა შესდგეს ცალკე კომიტეტი რწმუნებულთა, რომელთა შორისაც უმეტესობას ინგლისელები შეადგენენ და რომელთა მოვალეობაც ფერმების აღდგენა და მოწყობა იქმნებაო. ამ რიგად როზბერის აზრადა აქვს საქმე რაც შეიძლება ფართედა და უკეთ მოაწყოს. დასასრულ, გამოსთქვა ის აზრი, რომ კიტჩინერის პროკლამაცია გაუქმებული იქმნეს.

სოფია. როგორც ფიქრობენ, კაბინეტის შედგენას უთუოდ ისევ კარაველოვს მიანდობენ.

პარიჟი. რუსეთის ელჩმა თავ. ურუსოვმა აქ მყოფ ბელგიის მეფის პატივსაცემად საელჩოს სასახლეში სადილი გამართა.

ხრისტიანია. სტორტინგმა (საერო წარმომადგენელთა კრებამ) მთავრობას რწმუნება გადასცა, რომ 35 მილიონ კრონის სახელმწიფო სესხი იქმნეს გამოცემული.

ლონდონი. როგორც კიტჩენერი იუწყება ბელფასტიდგან, ბურების წინამძღოლი კრუიცინგერი ბელოკგაუზებზედ გადასვლის დროს (ხის დაბალი ღობე სიმაგრე) განნოვეროოიდის მახლობლად მძიმედ დაუჭრიათ და ტყვეთ წაუყვანიათ.

ბრიუსელი. სოციალისტის ვანდერველდეს მიერ წარდგენილი ფორმულა მორიგ საქმეებზედ გადასვლისა, რომელიც მთავრობამ უარ-ჰყო, პალატამაც უარ-ჰყო. ფორმულაში გამოთქმული იყო იმედი, რომ ინგლისი სამხრეთ აფრიკის საერთო ბანაკებში გავრცელებულ სიკვდილის წინაალმდეგ რაიმე ღონისძიებას იხმარს.

პარიჟი. უცბად გარდაიცვალა ბერლინში ელჩად ნამყოფი გერბარტი.

პარიჟი. პალატა სარწმუნოებათა უწყების ხარჯთ აღრიცხვის განხილვაშია. ფალდეკ-რუსსო წინააღმდეგია, რომ ხარჯთ-აღრიცხვა არ განიხილონ და მომხრეა კონკორდატის (ხელთ შეკრულობის) არსებობისა. პალატამ 436 ხმის უმეტესობით 13 წინააღმდეგ უარჰყო წინადადება იმისა, რომ ვილდეკ-რუსსოს სიტყვა საჯარო ადგილას გამოეკრათ და 350 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 187 დაადგინა ხარჯთ-აღრიცხვა ცალკ-ცალკე მუხლებად განიხილონ. პალატამ უარ-ჰყო აგრეთვე წინადადება ბერნერისა, რომ კონკორდატი აღარ განეახლებინათ.

ვაშინგტონი. სენატმა 72 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-ისა ნიკარაგუას არხის შესახებ ინგლისთან შეთანხმება მიიღო.

განცხადება

მკურნალი

ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნაია № 17.

(წლ.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Декабря 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118 დროებითი რედაქტორი ალ. ხარაზიშვილი.
გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.